# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

14 დეკემბერი ხუთშაბათი 2023 წელი №52 (9314) ფასი 40 თეთრი


## საკონსულტაციო საბჭოს სხდომა



**სამცხე-ჯავახეთში** სახელმწიფო რწმუნებულმა **ბესიკ ამირანაშვილმა** საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გამართა. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ სხდომას რწმუნებულის მოადგილეები - **დავით ვარდიაშვილი და შოთა როსტიაშვილი, ექვსივე მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

ბესიკ ამირანაშვილმა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირებისგან 2023 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების



ფონდიდან დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ მოისმინა ინფორმაცია. აღინიშნა, რომ სამუშაოები გეგმა-გრაფიკის შესაბამისად მიმდინარეობს.

ამასთან, სხდომაზე ყურადღება გამახვილდა 2024 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელ პროექტებზე.

## გაიმართა ძალადობის წინააღმდეგ მიმართული დასკვნითი ღონისძიება

**10 დეკემბერს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით, კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანიის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა.**

ღონისძიებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** საკრებულოს დეპუტატები, საბჭოს წევრები და ადგილობრივები ესწრებოდნენ.

ღონისძიების დაწყებამდე დღის ცენტრ „თებეს“ ბენეფიციარის **ელენე თარგამაძის** ნახატების გამოფენა გაიმართა. შემდეგ კი მრავალარიცხოვანი აუდიტორიის წინაშე კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლები - **„იმედი“, „ფერხისი“ და სამუსიკო სკოლასთან არსებული ანსამბლი „ოქტავა“ წარს-**



**დგნენ.**

ღონისძიების დასასრულს კი დაჯილდოვდნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გამოცხადებული თემების - **1) არასრულწლოვანთა ქორწინება და ოჯახი; 2) ფემინიზმი და ქალის უფლებები; 3) ქალი, ოჯახი, საზოგადოება, ავტორები.** ასევე ყველა ის ადამიანი, ვინც საბჭოსთან ინტენსიურად თანამშრომლობს. მათ დიპლომები და ფულადი საჩუქრები გადაეცათ.

**ღონისძიებას №3 საჯარო სკოლის მოსწავლეები - მაიკო ინასარიძე და ლიზი ნატბელაძე და №6 საჯარო სკოლის მოსწავლეები - ლიზა კობალაძე და ნინი ქართველიშვილი** უძღვებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო უკვე რამდენიმე წელია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანიის ორგანიზატორია. გარდა ამისა, საბჭოს მიერ წლის განმავლობაში არაერთი ღონისძიება იგეგმება.

## საიუბილეო საღამო ეძღვნება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს - ილია მეორეს

**2023 წლის 17 დეკემბერს კულტურისა და ხელოვნების ცენტრში**




მაღალყოვლადუსამღვდელოესის, ქიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტ **დანიელის (დათუნიშვილი)** ლოცვა-კურთხევით ბორჯომის წმ. ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი **იოანე (ხეცურიანი)**

**გეპატიჟებათ**

უწმინდესი და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საიუბილეო თარიღის *„აღსაყდრებიდან - 45 წლის და დაბადებიდან 90 წლისადმი“* მიძღვნილ ღონისძიებაზე

ღონისძიებაში მონაწილეობენ წმ. ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის მრევლის წარმომადგენლები: უფროსი და უმცროსი თაობის წევრები შეასრულებენ ქორეოგრაფიულ და მუსიკალურ ნომრებს.

**დასაწყისი 18 საათზე**

## სოციალური დახმარება ბენეფიციარებს

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტმა, სოციალური პროგრამების ფარგლებში, ნოემბრში 227 890 ლარის დაფინანსება გასცა. აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტეტმა დახმარება 820 ბენეფიციარს გაუწია.

121 634 ლარი, 179 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის გამოიყო. მედიკამენტების შესაძენად 61 ბენეფიციარი 6 800 ლარით დაფინანსდა.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე 32 პაციენტი 24 951 ლარით დაფინანსდა.

108 მრავალშვილიანი ოჯახი 25 900 ლარით დაფინანსდა.

სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში 24-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება.



პროგრამის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა მხარდაჭერა.

## ინფრასტრუქტურული პროექტები მოქმედებაში




**ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.**

**2023 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში 14 საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. ჯამში, 11 კილომეტრამდე გზას ჩაუტარდება რეაბილიტაცია. რისთვისაც ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან 5 81 8454 ლარი გაიხარჯება.**

**2023 წელს, ბორჯომის უნიციპალიტეტში, გზის გამყოლ, 9 საყრდენ კედელს ჩაუტარდება რეაბილიტაცია. რისთვისაც ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან 4 340 638 ლარი გამოიყო.**



# სოლიდარობა გაზეთ „ბორჯომს“!

**გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია ყოველდღიურად გრძნობს ბორჯომელების მხარდაჭერას. რედაქციისათვის აღნიშნული სოლიდარობა უმნიშვნელოვანესია. მადლობა, ყველაზე მცირეა, რაც შეგვიძლია ამ მოქალაქეების მიმართ გამოვხატოთ და ვუთხრათ, თუმცა, ფაქტი ერთია, მათგან მთელი წლის მანძილზე მიღებულმა ფინანსურმა თუ სიტყვიერმა მხარდაჭერამ, ჩვენმა ბრძოლისუნარიანობამ კიდევ უფრო მეტად გაზარდა მოტივაცია და გაგვჩენა მაგალითი, როგორ არ უნდა დავნებდეთ პრობლემას. აქამდე, აღნიშნულის შესახებ ფაქტებს ვისმენდით. ახლა, პირადად ვნახეთ, რა გზას გადის რედაქცია, როდესაც საქმე საყვარელი საქმის კეთებას ეხება და ის მიზერული თანხაც კი მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც სხვა გზა არაა, უნდა გადარჩე და გადაარჩინო ისტორიული გაზეთი „ბორჯომი“. დიახ, მე იმათთაგანი ვარ, რომელსაც პირდაპირ მითხრეს, ჰოდა, დარჩი და წერე უფასოდ წერილებიო. დავრჩი და ვწერე, თან მარტო მე არაა, მთელი რედაქციის მნიშვნელოვნად შემცირებულმა გუნდმა.**

**ამჯერად, გაზეთი „ბორჯომისადმი“ გამოხატული იმ გზავნილების შესახებ მოგიყვებით, რომელსაც სოციალურ ქსელში ჩვენი გულშემატკივრები წერენ.**


ბორჯომი

**ბედნიერების** ღიმილით ვუყურე რამდენჯერმე, ბორჯომის №1 საჯარო სკოლის მასწავლებლის **ნინო გოგოლაძის** ხელმძღვანელობით გავრცელებულ ვიდეო რგოლს, რომელშიც მოსწავლეები ამბობდნენ, რომ დაზოგეს თანხა, რათა გამხდარიყვნენ ჩვენი გაზეთის გამომწერები და მასწავლებლებთან ერთად სხვასაც იგივეს მოუწოდებდნენ.

– მე და ჩემი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებს მეგობრებთან გვაქვს თხოვნა. მოიწონოთ და გააზიაროთ ჩვენი შექმნილი საგაზეთო რეკლამა, რათა ბევრმა გამოიწეროს გაზეთი „ბორჯომი. ჩვენ ვმუშაობთ პროექტის ფარგლებში - **„ფინანსური განათლება სკოლაში“.** წინასწარ დიდი მადლობა ყველას, - წერს ქალბატონი ნინო.

– ყოჩაღ ბავშვებო, გაზეთი „ბორჯომი რაიონის მემატიანეა, მას შენარჩუნება ჭირდება, გაზეთის მესვეურები ყველაფერს აკეთებენ, რომ ამ, ისტორიული მნიშვნელობის გაზეთის გამოცემა არ შეწყდეს, და ჩვენ ერთიანი ძალებით შეგვიძლია მისი შენარჩუნება, მიზერულ ფასად, ჟურნალისტები ფაქტიურად ენთუზიაზმით მუშაობენ, მე აუცილებლად გამოვიწერ გაზეთ „ბორჯომს“, თქვენ რას აპირებთ?

დიდ პატივს ვცემდი ოდითგანვე „ბორჯომის“ ყველა დროის რედკოლეგიას. მე უდიდეს პატივს გცემთ თითოეულ ჟურნალისტს, რედაქციის თითოეულ თანამშრომელს, ბატონ რედაქტორს, მინდა ძლიერად და გამართულად იდგეთ ფეხზე. ნიჭიერება არ გაკლიათ, დაგფასებოდეთ შრომა, ძალისხმევა და საქმის ერთგულება. ასე ეხმაურება გამოქვეყნებულ ვიდეორგოლს, წაღვერის კულტურის სახლის ხელმძღვანელი, ქალბატონი **დალი ქასაშვილი.**

– **გაზეთი „ბორჯომი“** უყვართ და გულშემატკივრობენ. მადლობა ამ იდეისთვის ჩვენს ერთგულ მკითხველს, მასწავლებელს, დამრიგებელს.

სულ ვამბობთ, ისტორიული გაზეთი „ბორჯომი“ სუნთქავს, მოძრაობს და მკითხველის ერთგულ მსახურად რჩება. ჩვენი რედაქტორი კი მისი ალიონი და მცველია.

- ტელეკომპანია ბორჯომის გუნდი მხარს უჭერს გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციას. ვთვლით, რომ მუნიციპალიტეტში მედიის არსებობა მნიშვნელოვანია.

მიმდინარე წლის ოქტომბერში მომსწრე გავხდი შესანიშნავი ინიციატივის, ბორჯომის №1 საჯარო სკოლის VII[ა] კლასის მოსწავლეების და კლასის ხელმძღვანელის **ნინო გოგოლაძის** შესანიშნავი წამოწყების. ბავშვებმა თანხის შეგროვებით გადაწყვიტეს გაზეთ „ბორჯომი“-ს გამოწერა.

ამაყი და გახარებული ვიყავი ამ ბავშვების გადაწყვეტილებით.

უამრავი მოქალაქე უაზროდ ხარჯავს თანხას, ვიცი, ბევრს მოეწონება ბავშვების ინიციატივა, აღფრთოვანებასაც გამოხატავენ, მაგრამ ბევრი მათგანი ვერ იმეტებს წელიწადში 20 ლარს, რომ საუკუნეს მიღწეული გაზეთი „ბორჯომი“ გამოიწეროს.

ყოჩაღ ბავშვებს და მის პედაგოგს ქალბატონ **ნინო გოგოლაძეს.**

ვისურვებდი ბევრი გვერდში მდგომი და მოსურნე გამოუჩნდეს ამ დიდებულ და ღირსეულ წამოწყებას, - წერს ცემელი **იზო სარქისიანი.**

– **გაზეთი** „ბორჯომი“ ჩვენი ქალაქის მემატიანეა. ამიტომ ვფიქრობ, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი კი არა, დღის წესრიგში მისთვის ახალი სიცოცხლის, ახალი ენერგიის მიწოდების საკითხი უნდა იდგეს. დიახ, თუ სხვა საშუალება არ არის, ჩვენ, ბორჯომელებმა, გადავარჩინოთ ჩვენი ცოცხალი ისტორია. ჩემი მხარდაჭერა გაზეთ „ბორჯომს“ და მთელ გუნდს. იქნებ ანგარიში მიუთითოთ, გაზეთის გამოწერა რომ შევძლოთ. - წერს **მაია გულიაშვილი.**

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ როგორც რედაქციაში, ასევე პრესის გამავრცელებლებთან და დამტარებლებთან. გაზეთის ერთი ნომრის ღირებულება 40 თეთრია, მთელი წლით მისი გამოწერა კი - 20 ლარი.**

**გადავარჩინოთ გაზეთი „ბორჯომი“**

**გთავაზობთ გაზეთი „ბორჯომის საბანკო რეკვიზიტებს:**

**სს „თიბისი ბანკი“ - 46T7600036080100015**

**იზა იანვარაშვილი**

## გილოცავთ, იუბილარო!

### ცხოვრება ერდა ქარიშხალს გავდეს



**ყველა თაობისათვის საყვარელი შემოქმედი, თანამედროვე პოეზიის აღიარებული მგოსანი, ტარიელ ხარხელაური 78 წლისაა. დაბადების დღის აღსანიშნავად გვინდა გავიხსენოთ ამ დიდებულ პოეტთან წაღვერის კულტურის სახლში და წაღვერის საჯარო სკოლაში საზეიმო შეხვედრები. მისი უბრალოება, სიბრძნით გაჟღენთილი საუბარი მკითხველებთან გულში ჩამწვდომი და სამუდამოდ დასამახსოვრებელია. ნეტავ კიდევ მოგვეცემოდეს თანამედროვეობის გამოჩენილ პოეტთან შეხვედრის საშუალება?**

**ჩვენო ტარიელ, გულწრფელად გილოცავთ სიბრძნით დამძიმებულ საიუბილეო თარიღს. იცოცხლეთ დიდხანს ერის საიმედოდ და საამაყოდ.**

**სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ვალერიან ლომიძე, ოთარ არბოლიშვილი და ტარიელ ხარხელაური წაღვერის სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრაზე.**

**„მადლობა დამბადებელო, ნაკლულს რომ მავსებ შენითა“**

## დაზამთრდა...

თოვლი არც ისე მიკვირს
და არც სიცივე -
სისხლში რომ ატანს,
მეშინია ამ ატმის კვირტის,
... გაზაფხულზე რომ
ვერ გახსნას მარტმა.
მე მეშინია დამშრალი ღელის,
თოვლის ქვეშ რომ წევს და
უგონოდ სძინავს
და გვირილათა გაყინულ
ველის
გამოღვიძება ვერ
შესძლოს წვიმამ.
დასაწყისი არ
მაფიქრებს ზამთრის -
როგორ შევხვდები
ზამთრის დასასრულს?!

**ტარიელ ხარხელაური**

# შენდება თანამედროვე სტანდარტებს მორგებული ახალი საბავშვო ბაღი

**თანამედროვე სტანდარტებს მორგებული ახალი საბავშვო ბაღის არარსებობა ბოლო წლებში ერთ-ერთი მწვავე პრობლემა იყო ბაკურიანში. ბავშვები და მათი აღსაზრდელები კერძო სახლში დროებით იყვნენ შეკედლებული. წელს შემოდგომით ბაღის მშენებლობა დაიწყო. ბაკურიანის საბავშვო ბაღის დირექტორი ოლგა ოგანეზოვი მოგვიყვება არა მარტო ბოლო წლების საბავშვო ბაღის პერიპეტიებს, არამედ თავის გზას აღმზრდელის დამხმარედან ხელმძღვანელამდე.**

**– დიახ, ზუსტად ათი წლის წინ დავიწყე ბაკურიანის საბავშვო ბაღში მუშაობა. მაშინ ქალბატონი მერი წაქაძე იყო დირექტორი. შემოთავაზება აღმზრდელის ვაკანტურ ადგილზე მივიღე.**

2006 წელს დავამთავრე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტის განხრით. შემდეგ დავვოჯახდი, მყავს სამი გოგონა. ვზრდიდი ჩემს შვილებს და ვდიასახლისობდი, სანამ მერი მასწავლებლისგან ზემოთხსენებული შემოთავაზება არ მივიღე. ჩემი სპეციალობა კარგად ერგებოდა საბავშო ბაღის თანამშრომლის ადგილს, ძალიან გამეხარდა და გასაუბრების შემდეგ აღმზრდელის დამხმარედ დავიწყე მუშაობა. როგორც პატარა გოგონების დედა, ძალიან მსიამოვნებდა ბავშვებთან მუშაობა, ყველას ჩემი შვილების ადგილზე წარმოვიდგენდი და ამიტომ მთლიანად ვგრძნობდი ჩემზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას. თუ აქამდე თავს რეალიზებულად ვგრძნობდი დედის რანგში, ახლა მუშაობის დაწყებამ უფრო გამიმყარა თვითშეფასება და მთელი გულით შევუდექი ჩემზე დაკისრებულ საქმიანობას. აღმზრდელ ბელა ფანჯაკიძესთან ერთად ვმუშაობდი.რათქმაუნდა, ის ჩემი პირველი ჯგუფი განსაკუთრებულად მახსოვს, ახლა VIII-IX კლასში იქნებიან მაშინდელი პატარები. დაახლოებით ოცდაათი ბავშვი იყო და თავიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ მათ სახელებს ვერ დავიმახსოვრებდი. ამაზე შემდეგ გამეცინა. ამ ათი წლის განმავლობაში ვინც ჩვენთან საბავშვო ბაღში დადიოდა, ყველას სახელი და გვარი ვიცი. ახლაც, როდესაც ხელმძღვანელის პოზიციაზე ვარ, მაინც სულ დავდივარ ბავშვების ჯგუფებში, თუ საჭიროა, მასწავლებლებსაც შევენაცვლები, პატარებთან ყოველდღიური კომუნიკაცია მაქვს. შემიძლია ვიყო აღმზრდელი, დამხმარე, ძიძაც, დამლაგებელიც, საქვაბეშიც დავხმარებივარ.

აღმზრდელი სამი წლის განმავლობაში ვიყავი. ამასობაში, როდესაც მერი მასწავლებელი ბაღის მეთოდისტმა ლიკა გიორგაძემ შეცვალა, რომელიც საოცრად კრეატიული ადამიანი გახლდათ და მისგან ბევრი რამ ვისწავლე, მე მომცეს შანსი გამომეცადა საკუთარი თავი მეთოდისტის ადგილზე. ამ ადგილზე ცოტა ხანი ვიმუშავე, მალე სხვადასხვა მიზეზთა გამო, დირექტორის ადგილი ვაკანტური გახდა. ქალბატონმა ლიკამ რეკომენდაცია გამიწია და გავხდი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. მაშინაც ასე დავიწყე და დღემდე სულ ჩემზე უფროსებსა და გამოცდილებს ვეკითხები ყველა საკითხს, მუდამ სწავლის პროცესში ვარ, ერთ ადგილზე არ ვდგავარ.

საბავშვო ბაღის პერიპეტიებიც იმავე, 2016 წლის ბოლოს დაიწყო, როდესაც შსს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ საბავშვო ბაღის მესამე სართულიდან საევაკუაციო კიბის დამონტაჟება მოგვთხოვა. ბაღი, რომელიც 2000 წელს გაიხსნა, რეაბილიტაციაც ჩაუტარდა და გახლდათ აიპ-ი, სამწუხაროდ ეს სავალდებულო და აუცილებელი დეტალი არ ჰქონდა.

სახანძრო კიბის სხვადასხვა მიზეზების არ თუ ვერ გაკეთების გამო, თანამედროვე სტანდარტებს ბოლომდე ვერმორგების და ბავშვების მკვეთრად გაზრდილი ნაკადის გამო, საბავშვო ბაღის დემონტაჟი და მისი ახლით ჩანაცვლება გადაწყდა. დემონტაჟი ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა დაწყებულიყო. ეს იყო საბავშვო ბაღისთვის ყველაზე დრამატული პერიოდი. დავიწყეთ დროებითი თავშესაფრის ძებნა. უამრავი შენობა დავათვალიერეთ ბაკურიანში, ბევრი შე-



მოთავაზებებიც გვქონდა, მაგრამ ჩვენს არჩევანზე და სიმპათიებზე არ იყო დამოკიდებული ბაღის გახსნა, იყო უამრავი ნიუანსი, რომელიც უნდა მორგებულიყო სტანდარტებს და პირველ რიგში ეს უნდა ყოფილიყო სახანძრო უსაფრთხოება.

ახალი შენობის ძებნა ზაფხულში დავამთხვიეთ, რადგან გადავწყვიტეთ არდადეგებზე მოგვეგვარებინა ყველა პრობლემა და ახალ სასწავლო წელს ნორმალურად შევხვედროდით. ბევრი ძიების შედეგად შეირჩა ერთ-ერთი კერძო სახლი და ოქტომბერში განვაახლეთ სწავლის პროცესი ახალ სივრცეში. მანამდე იყო გადმობარგება, უამრავი გასათვალისწინებელი წვრილმანი. პირველი თვეებიც, სანამ დავლაგდებოდით, რთული იყო. კოლექტივი და მშობლები გვერდში მედგნენ. ბევრი რამ გადავაკეთეთ, დავამატეთ, სტანდარტს მოვარგეთ, რადგან ბავშვები მაქსიმალურად კომფორტულად ყოფილიყვნენ. არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, თუ რამდენ ხანს მოგვიწევდა ამ შენობაში ყოფნა, ის დრო მაქსიმალურად მოხერხებული უნდა ყოფილიყო ჩვენთვის, რომ ნორმალურად გვემუშავა.

იქიდან დაწყებული ველოდებოდით ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის დაწყებას, მწვავედ იდგა ეს პრობლემა ბაკურიანში. იყო სხვადასხვა ვარიანტები, ძიება სახელმწიფო მიწის გამონახვა, სადაც აშენდებოდა ბაღი, და აი, მოვედით დღემდე.

ჩემთვისაც, როგორც ყველა ბაკურიანელისათვის, ძალიან მტკივნეული იყო, როდესაც ბაკურიანის მოსახლეობა არჩევანის წინაშე დავდექით - ან ახალი ბაღი აშენდებოდა იმავე ადგილას, მაგრამ ყინულის მოედნის ხარჯზე, ან საბავშვო ბაღის აშენება პრობლემა ისევ ღიად დარჩებოდა გაურკვეველი ხნით. სადაბო კრებაზე ითქვა, რომ ცენტრალურ პარკში თანამედროვე სტანდარტებით აგებული ყინულის მოედანი შეუსაბამო იქნებოდა გამწვანებასთან. თაობები გავიზარდეთ ბაკურიანის ყინულის მოედანზე და ამიტომ გულწრფელად მჯერა, რომ ამ არჩევანის წინაშე დადგომა არცერთ ბაკურიანელს არ უნდოდა. **და ახლა, ძველი საბავშვო ბაღისა და საციგურაო მოედნის ადგილას, რეაბილიტირებული პარკის მეზობლად ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს.**

ბაკურიანის საბავშვო ბაღი, როგორც მოგახსენეთ 2006 წლიდან ბორჯომის ბაღების გაერთიანებიდან ცალკე, აიპად იყო დარეგისტრირებული, სამომავლოდ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით ის ისევ შეუერთდება ბორჯომის საბავშვო ბაღების გაერთიანებას.

**ბედნიერი ვარ, რომ ამდენი ხნის ნანატრი ბაღი შენდება?,** რა თქმა უნდა, კი, მაგრამ იმდენი ხანი ველოდეთ ამ მომენტს, რომ ბუნებრივად მივიღე.

პანდემიის დროს, როდესაც საბავშვო ბაღი დაიკეტა, პროდუქტს გავცემდით იმ ბავშვებზე, რომლებიც დარეგისტრირებული იყვნენ ჩვენთან. საგანმანათლებლო პროცესიც არ შეგვიწყვეტია, ონლაინ ჯგუფები შეიქმნა და აღმზრდელები ყველანაირ ინფორმაციას აწვდიდნენ მშობლებს. ზოგადად მშობლებთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს, რაც აუცილებელია. პრობლემებს ერთად და ადეკვატურად ვწყვიტავთ, კოლექტივი ერთგული და შრომისმოყვარეა. ახალ საბავშვო ბაღში გადასვლამდე დრო ჯერ კიდევ გვაქვს. ემოციები ახალი, განსხვავებული და დადებითი იქნება, რაც ყოველთვის ახლავს სიახლეს. მაშ. მომავალ შეხვედრამდე ახალ საბავშვო ბაღში!

**ესაუბრა რუსუდან სხირტლაძე**

### შოთა ლომიძის სახელობის ტრადიციული ტურნირი

# აღდგენილი ... ? 

**დამეთანხმებით, საქართველოში ყველა გვარშია სახელოვანი და მისაბაძი ადამიანები, რომლებიც სიამაყისა და პატივისცემის გრძნობას იწვევენ თითოეულ ჩვენთაგანში. ღირსეული მამულიშვილები ლომიძეების გვარშიც საკმაოდ არიან, რომელთა ნაფუძარზე იზრდებიან მათი შთამომავლები და ეს თვისება ნამდვილად მისაბაძი და დასაფასებელია.**

**სწორედ სახელოვანი მამულიშვილის ბექდაუდებელი ფალავნის, მსოფლიოს ორგზის, XIX ოლიმპიური თამაშების ვიცეჩემპიონის, ევროპის ორგზის, საბჭოთა კავშირის ხუთგზის, საქართველოს რვაგზის, მრავალ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულის, ლომიძეების გვარის ღირსეული და საამაყო შვილის შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი მეოთხედ გაიმართა 2023 წლის 22-23 ნოემბერს ხაშურის სპორტის სასახლეში. შეჯიბრებაში საქართველოს 20 მუნიციპალიტეტის 200 ახალგაზრდა, 15-16 წლის თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველობას. ტრადიციული ტურნირი ლომიძეების საგვარეულო დარბაზის გამგეობის ინიციატივით გაიმართა.**

**სამწუხაროდ, კოვიდინფექციის გამო, 2021-2022 წლებში, საპატიო მიზეზის გამო ტურნირი არ გამართულა.**

**ნორჩ მოჭიდავეთა ტურნირი საერთაშორისო შეჯიბრების კრიტერიუმების სრული დაცვით ჩატარდა, რაშიც უდიდესი წვლილი შეიტანეს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ხაშურის სპორტის სასახლის დირექციამ, ჭიდაობის ფედერაციიდან მოვლენილმა მსაჯებმა.**


ვასილ ლომიძე

**გულახდილად** უნდა აღინიშნოს, საერთაშორისო დონის პირველი კატეგორიის მსაჯის შეჯიბრების მთავარი **მსაჯის გელა გელაშვილის,** საერთაშორისო დონის მეორე კატეგორიის მსაჯის **ედნარი ლომინაძის**, საერთაშორისო დონის მესამე კატეგორიის მსაჯის **გია კოტიშაძის,** მსაჯების **ბიძინა გოგბერაშვილის, ვახტანგ ნარიაშვილის, თაკო სამხარაძის, კახა გოგოლიშვილის** სხვების მეტად ობიექტური და მიუკერძოებელი მსაჯობა.


ვახტანგ კვინიკაძე და ბერი იერემია გამარჯვებას ულოცავენ გუჯა ლომიძეს

ტურნირი 13 წონით კატეგორიაში გაიმართა. უშეღავათო ბრძოლაში ჩემპიონები გახდნენ გორელი **ლუკა დოთიაშვილი,** ხაშურელი **ლევან ნოზაძე,** გორელი **თორნიკე ბერძენიშვილი,** დმანისელი **მუსტაფა ადიგაზალოვი,** თბილისელი **გაბრიელ გამარნიკი,** გორელები **აკაკი მაზმიშვილი, გიგა ოთინაშვილი და დემეტრე ბოლოთაშვილი,** რუსთველი **ჯონი შაორშაძე,** ხაშურის საჭიდაო სკოლის აღზრდილი, ახალდაბელი **გუჯა ლომიძე,** მძიმე წონაში გაიმარჯვა რუსთაველმა **გიგა ლუქუნიძემ.**

ალსანიშნავია **გუჯა ლომიძის** ბრწყინვალე გამარჯვება, რომელმაც ქვემძიმე წონით (92 კილოგრამი) კატეგორიაში იასპარეზა. მაყურებლით გადაჭედილი საჭიდაო დარბაზი გუჯა ლომიძეს გულშემატკივრობდა. ეს ფაქტი გასაგებია. ამ წონაში ჭიდაობდა სახელობანი შოთა ლომიძე, და აი, 50 წლის შემდეგ ბექდადებული შოთას წონაში კვლავ ლომიძეების გვარის, 15 წლის ვაჟკაცი გუჯა ლომიძე ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე და ლომიძეების საგვარეულო დარბაზის მიერ დაწესებული თასიც მას გადაეცა.

ახალგაზრდა მოჭიდავეებს მიესალმა და წარმატებები უსურვა ლომიძეთა საგვარეულო დარბაზის გამგეობის თავმჯდომარე **ვალერიან ლომიძე,** ვეტერანი მოჭიდავე **ოლეგ ლომიძე,** ტურნირს ესწრებოდა შოთა ლომიძის შვილი - **გიორგი ლომიძე,** რომელმაც გამარჯვებულთა დაჯილდოებაში მიიღო მონაწილეობა. კოდორის ხეობის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის ბერმა **იერემიამ (ლომიძე)** ტურნირში გამარჯვებულებს სასულიერო ლიტერატურა დაურიგა. საგვარეულო დარბაზის გამგეობის სახელით გამარჯვებულებს დიპლომები გადაეცათ, ხოლო ტურნირის სანიმუშოდ ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის **მსაჯები და მწვრთნელები გელა გელაშვილი, ლევან მდინარაძე, სერგო უნანიანი, თეიმურაზ ჯაფარიძე, ბიძინა გოგბერიშვილი და გია კოტიშაძე ლომიძეების საგვარეულო დარბაზის საპატიო წევრებად აირჩიეს.**

დიდი სურვილი გვაქვს მომავალი ტურნირი ისევ ხაშურში გაიმართოს. ქალაქში, სადაც შესანიშნავი საჭიდაო სკოლა არსებობს და ყავთ მაღალკვალიფიციური მწვრთნელები მამა-შვილის ვახტანგ და გიორგი კვინიკაძეების სახით, რომლებსაც არაერთი მაღალი დონის მოჭიდავე ყავთ აღზრდილი.


პრიზები გამარჯვებულთათვის

გამოითქვა ერთსულოვანი აზრი, რათა მომავალ წელს შოთა ლომიძის ტრადიციული ტურნირი კიდევ უფრო მასშტაბურად, საერთაშორისო დონეზე ჩატარდეს. (ხაშური დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის აღიარებულია ცენტრალურ კვანძად, ორივე მხარის მუნიციპალიტეტების მოჭიდავეებისათვის ხელმისაწვდომია). დიდი სურვილი გვაქვს, შოთა ლომიძის ტრადიციული ტურნირის მონაწილე მოჭიდავეთა ასაკი 23 წლამდე გაიზარდოს.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია ნამდვილად დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა წარსულში ცნობილ მოჭიდავეთა სახელობითი ტურნირების ჩატარებით, რაც ნამდვილად დასაფასებელი, სწორედ ასეთ ტურნირებში იწრთობიან მომავალი მოჭიდავეები.

**მინდოდა** ეს წერილი ამ პათოსით დამემთავრებინა, მაგრამ უმადურობა იქნებოდა, ორიოდე სიტყვა არ მეთქვა ამ მეტად საინტერესო ტურნირის ჩატარების ყველაზე დასაფასებელი შემოქმედის შესახებ. საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. უმნიშვნელო ტურნირის ჩატარებასაც კი უამრავი პრობლემები ახლავს, დაწყებული მატერიალური ბაზით დამთავრებული ფინანსური პრობლემებითი. ხაზგასმით ვიტყვი, შოთა ლომიძის ტურნირი ვერ იხილავდა დღის სინათლეს, რომ არა ლომიძეების გვარის შესანიშნავი წარმომადგენლის, მინსკში მოღვაწე ბორჯომელი ბიზნესმენის, ქველმოქმედის და მეცენატის ბატონ **ვასილ ლომიძის** წვლილი, რომელმაც 100 პროცენტით დააფინანსა ეს შესანიშნავი ტურნირი, და არცთუ მცირედი თანხა დაჯდა. (საპრიზო თასები, დიპლომები, მსაჯთა და კომპიუტერული ტექნიკის მომსახურება, კვება, ღამის თევა და სხვა წვრილმან-მსხვილმანი, სწორედაც რომ ბატონმა ვასილმა დააფინანსა).

ბატონი ვასილ ლომიძე ათეული წლებია მინსკში მოღვაწეობს და ბელარუსიის დედაქალაქში წარმატებულ მშენებელ-რესტავრატორად ითვლება. ბორჯომს ხშირად სტუმრობს. ამ ქალაქში ცხოვრობს 100 წელს მიტანებული, მისი დედა - ქალბატონი მაყვალა, რომელსაც მზრუნველობას და პატივისცემას არ აკლებს.

სკოლაში სწავლის წლებში ჭიდაობით იყო გატაცებული და წარმატებულ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო აქტიურ სპორტს თავი დაანება, მაგრამ ქართული სპორტის დიდ გულშემატკივრად დარჩა, საქართველოს ცნობილი სპორტსმენებისათვის არაერთხელ აღმოუჩენია სათანადო დახმარება. ბუნებით კეთილ და სამშობლოს მოსიყვარულეს ხშირად გაუწევია მინსკში მცხოვრები ქართველებისათვის მატერიალური და ფინანსური დახმარება და თანადგომა.


(მარცხნიდან მარჯვნივ) ვასილის შვილი - სერგო, შოთას შვილი - გიორგი, შოთა ლომიძის წონაში გამარჯვებულის გუჯას მამა - მალხაზ ლომიძეები.

ხაშურის ტურნირისათვის თანხაც გამოგვიზავნა და მამის მოსახელე შვილი - **სერგო ლომიძე,** რომელიც ბათუმში მოღვაწეობს, იმ დღეებში ჩვენს გვერდით იდგა და აქტიურად გვეხმარებოდა პრობლემათა გადაწყვეტაში.

შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი სპეციალურად გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს დავამთხვიეთ.

ლომიძეების საგვარეულო დარბაზის გამგეობის სახელით მადლობას მოვახსენებ ბატონ ვასილ ლომიძეს და მასთან ერთად ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ საინტერესო ტურნირის უნაკლოდ ჩატარებაში.

სახელოვანი შოთა ლომიძის ტურნირი დამთავრდა, მომავალი წლისათვის სამზადისი უკვე დავიწყეთ. იმედია, 13500 ლომიძეს არ გაუჭირდება სახელოვან გვარიშვილთა ღირსეული დაფასება და მასშტაბური ღონისძიებების ჩატარება.

**ვალერიან ლომიძე**
**სრულიად საქართველოს ლომიძეების საგვარეულო დარბაზის წინამძღოლი.**

## შეხვედრა ფსიქოლოგთან

**5 დეკემბერს, ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დარბაზში ფსიქოლოგ ზურაბ მხეიძესთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ორგანიზატორი ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო გახლდათ.**

ზურაბ მხეიძემ აუდიტორიასთან ფიზიკური ძალადობის შესახებ ისაუბრა. ფსიქოლოგმა აღნიშნა, რომ ძალადობის ის ფაქტები, რომლებიც იუ-



რიდიული შეფასების მიღმა რჩება ძალზედ საყურადღებოა. არაფიზიკური ძალადობის ფაქტებს შეიძლება ორივე სქესის წარმომადგენლებთან შევხვდეთ და მხოლოდ იმის იდენტიფიცირება, რომ მხოლოდ მამაკაცს შეუძლია ქალზე ძალადობა, ნამდვილად არ შეესაბამება სიმართლეს. რეალურად კი რა სახის ზემოქმედება გააჩნია ფსიქოლოგიურ ძალადობას ადამიანზე მან საკუთარ პრაქტიკაში გამოყენებულ და კარგად აპრობირებულ მეთოდებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ არაფიზიკურ ძალადობის ფორმებს და გამოვლინებებს ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით და თუკი კარგად დაფიქრდება თითოეული ადამიანი, ის ე.წ პოტენციური მოძალადეა და რა თქმა უნდა, ამ მოძალადეობაში არ იგულისხმება მხოლოდ ფიზიკური ძალადობა, ეს შეიძლება გამოიხატებიდეს სიტყვიერად, თუნდაც ერთი მზერითაც კი ან სრულიად უმნიშვნელო ქმედებით, რომელიც ადამიანის ფიზიკურ დაზიანებასთან რეალურად სულაც არ არის კავშირში. მან საინტერესოდ ისაუბრა მშობლების მხრიდან შვილების მიმართ არასწორ დამოკიდებულებაზე, ასევე აუდიტორიის მხრიდან კითხვები დაისვა ემიგრანტი დედებისა და მათი შვილების ურთიერთდამოკიდებულებაზე, რაზეც ფსიქოლოგმა აღნიშნა, **რომ არც ერთი მშობლისთვის არც ერთი თეთრი და დაგროვილი ქონება არ ღირს შვილებისაგან შორს ყოფნად.** ასევე მან ხაზი გაუსვა მამის, როგორც მშობლის უმნიშვნელოვანეს როლზე შვილების ცხოვრებაში, არამარტო საქართველოში, ზოგადად მთელ მსოფლიოში. სამწუხაროდ, მამაკაცები პროცენტულად ყველაზე ნაკლებად არიან ჩართული შვილების ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც სამწუხაროდ მომავალში ცუდად აისახება შვილების ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე. ამიტომაც, მან ყველა მშობელს მოუწოდა, რომ რაც შეიძლება მაქსიმალურად იყვნენ ჩართული შვილების აღზრდის პროცესებში, რათა მათ ადვილად შეძლონ ყოველდღიურ სირთულეებთან ადაპტირება.

შეხვედრას ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, საბჭოს წევრები, სკოლის პედაგოგები, ფსიქოლობი, მოსწავლეები და მოქალაქეები ესწრებოდნენ.

ღონისძიება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩატარდა, ორგანიზატორი კი გენდერული თანასწორობის საბჭოა.

**ნატო მელიქიძე**

## არ გეგონოს, რომ მეტი ხარ სხვაზე



**არ გეგონოს, რომ მეტი ხარ სხვაზე,**
**უფლის წინაშე ყველა სწორია**
**და სწორედ მაშინ ეცემი, როცა**
**თავი ვინმეზე მეტი გგონია.**
**შენ არ განსაჯო სხვა არასოდეს,**
**არ გაუჩინო გულში იარა,**
**შენ ხომ არ იცი, მან რას გაუძლო**
**და ან რა გზები გამოიარა.**
**შენ ხომ არ იცი, რამდენი ღამე**
**თვალცრემლიანმა როგორ ათია,**
**ბევრი ტკივილის მიუხედავად,**
**მაინც ღიმილით ხვდება განთიადს!**
**არასდროს მისცე შენს თავს უფლება,**
**სხვას ტკივილები უწყო ლოდებად...**
**დღეს არ იცინო სხვაზე რადგანაც,**
**არ იცი, ხვალ შენ რა გელოდება.**

**თედო მელიქიძე**

სატირა

## მილიონსაც მირჩევნია!!!



ქალაქ თბილისს გავემგზავრე,
პრობლემად გამიხდა თვალი,
მისაღებში მომეგება
ექიმი ნიკოლოზ დვალი.
ოფთალმიჯის ექიმებმა
დამამშვიდეს, გამახარეს,
იმედებით ამავსეს და
კმაყოფილი გამამგზავრეს.
იქვე ჩემმა მასპინძელმა
მიმიწვია გულით სახლში,
ჩემმა სისხლმა, ჩემმა ხორცმა,
საამაყო რომ მყავს ხალხში!
დამაპურა, დამამშვიდა,
რძალმაც გულით გაიხარა,
მავახშმა და დასაწოლად
ქვეშსაგებიც გამიშალა.
მისურვა ტკბილი ძილი და
კარი ფრთხილად გაიხურა,
რომ ვიფიქრე მეშველაო,
ქარმა მაშინ „გამიხურა."
აწივლდა და მთელი ღამე
ზეცა ქუდად დაიფარა,
თეძქაზე მდგარი კორპუსი
ვარკეთილში გადიტანა.
სტვენა, ღრენა და წივილი
წამით არ მომშორდა ყურში,
ტკბილ სიზმარს რომ მოველოდი,
ჩხვლეტები დამეწყო გულში.
მერე იქვე საიდანღაც,
გემის „გუდოკიც" ჩაირთო,
მთელი ღამე იწივლა და
რისხვის ზარები ჩამირთო.
შემოვევლე მე ჩემს სოფელს,
დილით მზის სხივი მაღვიძებს,
ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი
გულიანადაც მაცინებს.
ეზოში კი გულს მიხარებს
ნაირნაირი ვარდები,
იმ წუთშიც მავიწყდებიან
ყველა ფიქრები, დარდები.
გენაცვალე ჩემო ცემო,
სამოთხეზეც არ გაგცვლიდი,
ტომრით ფული რომ მიბოძონ,
მილიონზეც არ გაგყიდდი.
ეხლაც ვფიქრობ, ქარს და გრიგალს,
რისი თქმა უნდოდა ჩემთვის?
ალბათ, დილით დამეწერა
ფაცი-ფუცით, მე ეს ლექსი.

**იზა სარქისიანი**

## ვახ, რა ყოფილა სიბერე!



არც მეგონა, არც მჯეროდა,
ასე მოვხუცდებოდი,
ასე დავუძლურდებოდი,
ასე დავჩლუნგდებოდი.
ჯანღონით სავსე ვაჟკაცი,
მთაში შობილ-გაზრდილი
არაფერს ვეპუებოდი,
ვით ფეხმარდი ნადირი.
ვერაფერი მაბრკოლებდა
ვერც ძნელი, ვერც ადგილი,
ჩემთვის არაფერს ნიშნავდა
უადგილო ადგილი.
არავის არ გავურბოდი,
ყველას ვეჯიბრებოდი,
გულმაგარი, სულმაგარი
მთებსაც ვეჭიდებოდი.
ბევრი კარგი მონადირე
კვალში ვერ მომყვებოდა,
ათსა, მხრიან ბადეს ვსროდი,
მტკვარს ნახევრად სწვდებოდა.
ყველაფერზე ხელს ვაწერდი,
ყველგან ჩემი მეთქმოდა,
შემეძლო თუ არ შემეძლო
გული ყველგან მერჩოდა.
სადაც არ უნდ ვყოფილიყავ
მუხლი არ მიდგებოდა,
არაფრის არ მეშინოდა,
გული არ მიტყდებოდა.
სიმდიდრე თუ სიღარიბე
სულ ფეხებზე მეკიდა,
პატიოსნურსა ცხოვრებას,
ვეწეოდი ბეჭითა.
ჭკუიდან გადავიდოდი,
ვყოფილიყავ მყუდროდა,
სიცოცხლით სავსე ვაჟკაცსა
ყველაფერი მწყუროდა.
ცეკვა, სიმღერა, თამაში,
ჭამა-სმა და ქეიფი,
ყველაფერი ზომა-წონით
თუნდაც ფულით სეიბი.
ლამაზებიც ბევრი მყავდა,
არც არასდროს მკლებია,
მეფერებ-მესალმებოდნენ
ვით ჩემ „ქუნცის" მთებია.
დღეს ვინა ვარ? არაობა,
არაფრის მაქნისი,
ვით ყანაში მიგდებული
უვარგისი სახნისი.
ოდეს კაცი ლომივითა
აწ ვაგდივარ მძორივითა,
თვით თავიც კი მეზარება,
ფუტურო ხის მორივითა.
ვახ, რა ყოფილა სიბერე,
მწუხარება უმაღლესი,
დაბერება გლახა არის,
არ დაბერდე - უარესი.

**გურამ ჭუნცელი-ივანიძე,**
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

ჯეირან გურგენიძის მოსაგონარი

## ღირსეულად განვლილი სიცოცხლე



არიან ადამიანები, რომელთა განვლილი ცხოვრება და ღვაწლი ნამდვილად დაუვიწყარია, ასეთი ადამიანები შორეულ წარსულშიც იყვნენ და დღესაც არსებობენ, რომელთა გახსენება ნამდვილად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რამეთუ მათი კეთილშობილური საქმიანობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე ფასდაუდებელია.

სწორედ ქვეყნის წინაშე ასეთი ვალმოხდილი პიროვნება გახლდათ ბორჯომში დაბადებულ-გაზრდილი საქართველოს დამსახურებული მშენებელ-ინჟინერი, საზოგადოებაში ავტორიტეტული პიროვნება ჯეირან გურგენიძე, რომელიც ათეული წლების განმავლობაში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მოღვაწეობდა.

ბატონი ჯეირანი გამოირჩეოდა მაღალი შინაგანი კულტურით, პრინციპულობით, თავაზიანობით, სადაც კი იმუშავა, შრომით კოლექტივებში, დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა. სამსახურებრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის დაჯილდოებული იყო სახელმწიფო ჯილდოებით, დიპლომებით, საპატიო სიგელებით.

ერთი წელი შეუსრულდა ბატონ ჯეირან გურგენიძეს გარდაცვალებიდან. თავს მოვალედ ვთვლი, გავიხსენო ამ ქვეყნის ღირსეული მამულიშვილი და პატივი მივაგო მის ხსოვნას.

ბატონ ჯეირანის ოჯახში სიცოცხლე გრძელდება. ბუნებით მეტად სათნო და ბორჯომში კარგად ცნობილი მეუღლე - ნინო კარკაძე, შვილები დავითი, დიმიტრი, ვახტანგი, რძლები თავია მელიქიძე, ღეონა ტაბატაძე, შვილიშვილები აქედან ლოცულობენ მისი ლამაზი სულის უკვდავსაყოფად. ერთი წელი ამ ოჯახისათვის მძიმე ცრემლიანი წელიწადი იყო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს კეთილი კაცი ბატონი ჯეირან გურგენიძე, ამინ!

**თედო მელიქიძე,**
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე სოფლის მეურნეობის დარგში.



## ვულოცავთ!

ძალიან საყვარელ, ნიჭიერ, მიზანსდასახულ და წარმატებულ ახალგაზრდა არქიტექტორს, **მათე ლომიძეს** ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს.

გისურვებ, რომ ახალი 2024 წელი ყოფილიყოს წარმატებების, ბედნიერების, სიხარულისა და სიურპრიზების მომტანი.

მალე შევხვდებით.

შენი სანტა.

## ჩვენებურები რუმინეთში



**საერთაშორისო** სათხილამურო ფედერაციის (FIS) ეგიდით რუმინეთში ჩატარდა შეჯიბრი ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში ე.წ. Star Throphy ახალგაზრდა სპორტსმენებს შორის. ამ შეჯიბრში უკვე მეორე წელია რაც საქართველოც მონაწილეობს. ჩვენი ნაკრების შემადგენლობა ასეთი გახლდათ: **ალან** და **თემურ გობოზოვები, ესმერალდა ალიევა, ნინი** და **თამარ დიაკონაშვილები.** მწვრთნელები **იბრაგიმ გობოზოვი და გიორგი დიაკონაშვილი.**

ყველაზე წარმატებულად **ალან გობოზოვმა** იასპარეზა, რომელმაც მესამე საპატიო ადგილი დაიკავა. მისი ძმა, თემურ, მეცხრე ადგილს დასჯერდა, რომელიც სხა ასაკობრივ ჯგუფში ასპარეზობდა. ჯამში მწვრთნელი **იბრაგიმ გობოზოვი** სპოტსმენების ასპარეზობით კმაყოფილია იმის გათვალისწინებით, რომ თებერვლის შემდეგ სერიოზულ შეკრებაზე მათი წაყვანა ვერ მოხერხდა და შეჯიბრში საკმაოდ დიდი კონკურენცია იყო.

რუმინეთის შემდეგ ჩვენს ტრამპლინიდან მხტომელებს ჰქონდათ ათდღიანი შეკრება სლოვენიაში, სადაც ნაყოფიერად ივარჯიშეს. სამომავლოდ, იანვარში იგეგმება შეკრება იტალიაში, იქვე ჩატარდება შეჯიბრიც, რომელშიც ჩვენებურებიც ჩაერთვებიან.

**რუსუდან სხირტლაძე**

## ჩემპიონატის ფინალი – ფრენბურთში

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, ორგანიზაცია-დაწესებულებებს შორის ჩემპიონატის ფინალი გაიმართა ფრენბურთში.**

**ფინალში ერთმანეთს ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და ,,IDS ბორჯომი-საქართველოს" №1 ჩამომსხმელი ქარხნის გუნდები დაუპირისპირდნენ.**

**შეხვედრა საგანმანათლებლო რესურცენტრის გუნდის გამარჯვებით დასრულდა.**

**ჩემპიონატში 9 გუნდი მონაწილეობდა, საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს, ბორჯომის მუნიციპალიტეტისაგან სიგელები, მედლები,**



**თასი და ფულადი ჯილდო გადაეცათ:**

**I ადგილისათვის - ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის გუნდს 900 ლარი გადაეცა;**

**II ადგილის დაკავებისათვის - ,,IDS ბორჯომი-საქართველოს" №1 ჩამომსხმელი ქარხნის გუნდს 600 ლარი გადაეცა, ხოლო III ადგილისათვის - სასტუმრო "Crowne Plaza"-ს გუნდს 300 ლარი შეხვდა.**

ფინალს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე **მამუკა ლურსმანაშვილი,** სასპორტო სკოლის დირექტორი **ელიზბარ სტეფნაძე** და კულტურის განყოფილების სპორტის სპეციალისტი **თათა ლამბრიანიძე** ესწრებოდნენ.

**ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით, ბორჯომის მუნიციპალიტეტი სხვადასხვა სპორტული აქტივობის დაგეგმვას მომავალშიც ინტენსიურად გააგრძელებს.**

## იწყება კალათბურთის ტურნირი




**ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინიციატივით დაწესებულებებს შორის კალათბურთის ტურნირი იწყება.**

**I - ადგილზე გასულ გუნდს 900 ლარი II - ადგილზე გასულ გუნდს 600 ხოლო III-ადგილზე გასულ გუნდს 300 ლარი გადაეცემა.**

**განცხადებების მიღება დაწყებულია, ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე 591 95 95 41 ან მობრძანდით მისამართზე ბორჯომის მუნიციპალიტეტი, მესხეთის №5.**

**ჩვენს მკითხველებს!**

**გაზეთ „ბორჯომის" შემდეგი ნომერი გამოვა 2024 წლის 1 იანვარს**

ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა გერასიმე და მისი მრავალრიცხოვანი მრევლი თანაუგრძნობს მამა არჩილს მამის

**გურამ ბაღდავაძის**

გარდაცვალების და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს..

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „კაარში". თბილისი, თევდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე